ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№6-7(98-99)

ივნის-ივლისი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველოს მიენიჭა პერსპექტივა – გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა

2

„ევროპამ კარი გაუღო საქართველოს, ეს ნამდვილად არის ისტორიული გადაწყვეტილება!“

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნუგზარ თინიკაშვილის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

3

ზაზა გათენაშვილის ნამუშევრები შვეიცარიაში, ბაზელში გამოიფინა

9



მშვიდობით, მაყვალა!

11

„პირველი ნაბიჯი“ გთავაზობთ თერაპიულ მომსახურებას „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში

6

პროგრამა განკუთვნილია 6-დან 18 წლამდე შშმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის

4 ივლისს 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2022 წლის ეროვნული გამოცდების დაწყება მიულოცა აბიტურიენტებს და აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა აბიტურიენტებს სრულფასოვანი, კომფორტული და აკადემიური გარემო ჰქონოდათ.

„ძვირფასო აბიტურიენტებო,

თქვენს ცხოვრებაში, შესაძლოა, აქამდე ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო დღეები დაიწყო.

მე ღრმად მწამს, რომ ცოდნა და განათლება, მეცნიერება და შემოქმედება არის ის, რასაც ჩვენი ქვეყნის განვითარება უნდა დაეფუძნოს. ამიტომ, მთელი გულით გისურვებთ, რომ წარმატებით ჩააბაროთ გამოცდები და ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტებში გააგრძელოთ იმ ცოდნის გაღრმავება, რომელსაც სკოლებში ეუფლებოდით.

მჯერა, რომ რა პროფესიაც არ უნდა აირჩიოთ, თითოეული თქვენგანი იპოვის საკუთარ გზას ცხოვრებაში, ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში, რომ თქვენი შრომა ჩვენს ქვეყანას ისევე გამოადგება, როგორც თქვენს პირად წინსვლასა და კეთილდღეობას.

ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა თქვენთვის სრულფასოვანი, კომფორტული აკადემიური გარემოს შესაქმნელად, თქვენი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

საგამოცდო პროცესის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის მადლობას ვუხდი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, ყველას, ვინც ძალისხმევა არ დაიშურა, რომ ჩვენი ახალგაზრდების შესაძლებლობათა გამოვლენისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო შეექმნა.

კიდევ ერთხელ გისურვებთ, რომ წარმატებით გაართვათ თავი გამოცდებს და ღირსეულად შეუდგეთ ცხოვრების ახალ ეტაპს“, — წერია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ წერილში.

დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 10 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქე დასაქმდა

3

საქართველოს მიენიჭა პერსპექტივა — გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა

კანდიდატობის მისაღებად ქვეყანამ წლის ბოლომდე რამდენიმე რეკომენდაცია უნდა შეასრულოს

„17 ივნისს, ევროკომისიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება - პირველად გაჩნდა ისტორიული ჩანაწერი, რომ ევროკავშირი, ევროკომისია ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს პერსპექტივა იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა და როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა ქალბატონმა ურსულამ განაცხადა, ევროპამ კარი გაუღო საქართველოს, ეს ნამდვილად არის ისტორიული გადაწყვეტილება“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 20 ივნისის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ის რეკომენდაციები, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს, ისედაც იყო ხელისუფლების დღის წესრიგში ჩაწერილი, თუმცა არის სხვა საკითხებიც, რასთან დაკავშირებითაც მუშაობა გაგრძელდება ბრიუსელთან და საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს.

„ვულოცავ თითოეულ ქართველს ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღებას. მეორე, რაც ასევე ევროკომისიამ თავის რეკომენდაციაში ჩაწერა და მიმართა საბჭოს არის შემდეგი - საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, როგორც კი პრიორიტეტები და ანუ პირობები შესრულდება. ახლა როგორც კი დაამტკიცებს საბჭო აღნიშნულ რეკომენდაციებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე დავიწყებთ მუშაობას ბრიუსელთან. მინდა, განვმარტო მოქალაქეებისთვის, რომ ამ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი ისედაც იყო ჩვენს დღის წესრიგში ჩადებული, არის სხვა საკითხები, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ბრიუსელთან გავარკვევთ, ვიმუშავებთ და მივიღებთ კანდიდატის სტატუსს. მინდა აქვე, ჩვენს მოქალაქეებს განვუმარტო, ვინაიდან ვიცი, რომ მოქალაქეების უმეტესობას გარკვეული კითხვები დარჩა, თუ რატომ აღმოჩნდა, ასე ვთქვათ, უფრო მეტად წახალისებული მოლდოვა და უკრაინა და მინდა, ავუხსნა ჩვენს მოქალაქეებს შემდეგი; მოლდოვას და უკრაინას, აქვს აბსოლუტურად იდენტური ჩანაწერი პერსპექტივასთან დაკავშირებით, ანუ მათაც ჩაუწერეს, რომ საბჭოს მიმართავს რეკომენდაციით ევროკომისია, რომ მათ მიენიჭოთ სტატუსი, პერსპექტივა და ასევე სტატუსი. ანუ, რეალურად სტატუსს აძლევენ ავანსად. ეს არის წამახალისებელი ავანსი უკრაინისთვის, რომელიც არის უმძიმეს ომში და მოლდოვასთვის, რომელიც არის ასევე ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ამავდროულად მათაც სთხოვენ, მოსთხოვენ მთელი რიგი რეფორმების გატარებას. ჩვენს შემთხვევაში არის პირიქით, ჯერ უნდა შევასრულოთ ყველა ის პირობა, რომელიც არის დადებული, ეს რეფორმები განვახორციელოთ, პრიორიტეტები განვახორციელოთ და,რა თქმა უნდა, საქართველოს ამის შემდეგ მიენიჭება სტატუსი,“- განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სწორედ „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა ყველა ის ხელშესახები მიღწევა, რომელიც უკავშირდება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას.

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ უკრაინა უმძიმეს ვითარებაშია. ტერიტორიების 20% უკვე დაკარგული აქვს და ომი გრძელდება. ასევე, მოლდოვაც არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში, თუ ვინმე დაზარალდა ამ ომით, ერთ-ერთი პირველი არის მოლდოვა, ვინაიდან, მოსაზღვრე სახელმწიფოა და ძალიან ბევრი ნაკადი იყო დევნილების, ლტოლვილების და უამრავი, როგორც ეკონომიკური, ასევე, უსაფრთხოების რისკები გაეზარდა მნიშვნელოვნად მოლდოვას. გახსოვთ, წინა კვირას მე საჯაროდ ვთქვი, რომ ჩვენი ევროპელი კოლეგები მეუბნებოდნენ და მეც ღიად ვთქვი, რომ უკრაინას აძლევენ ამ სტატუსს იმიტომ, რომ იგი არის ომში. თქვენ ნახეთ, რომ რამდენიმე დღის წინ ევროპელი ლიდერები უკვე საჯაროდ ადასტურებენ ამ ფაქტს, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმიტომ, რომ უკრაინა არის ომში და ჩემთან პირად საუბრებში ასევე უთქვამთ, რომ მოლდოვაც არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ასე რომ, ნამდვილად არ მშურს არც უკრაინის, არც მოლდოვის. მინდა მივულოცო ჩვენს უკრაინელ და მოლდოველ მეგობარ ხალხს ეს წარმატება. მინდა მათ ვუსურვო მშვიდობა და ქვეყნის გაერთიანება.

ასევე, მინდა ვუთხრა ჩვენს ძვირფას ხალხს, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის დამსახურება არის ყველა ის ხელშესახები მიღწევა, რომელიც უკავშირდება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციას და მე რამდენიმეს შევახსენებ ჩვენს ხალხს - ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი და ახლა უკვე ევროპული პერსპექტივა და კანდიდატის სტატუსი. ეს ყველაფერი უკავშირდება „ქართული ოცნების“ მმართველობას. დიდი მადლობა, ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას მშვიდობას და ქვეყნის გაერთიანებას,“- განაცხადა პრემიერმა.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნუგზარ თინიკაშვილის ანგარიში 2021 წელს განეული მუშაობის შესახებ

ისტორიის კუთვნილებად იქცა კოვიდ-19-ის პანდემიისგან გამოწვეული სირთულეებით აღსავსე გასული ორი წელი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახა ყველა სფეროსა და მიმართულებაზე. მიუხედავად მრავალი სირთულისა, საქართველოს მთავრობამ მიზანმიმართული, ფართო მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა კოვიდპანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების გაუქმების მიმართულებით, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმისა და მთლიანად ეკონომიკის სწრაფი აღდგენის დაწყებას, შედეგიც სახეზეა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი ორნიშნა ზღვარს გასცდა, შესაძლებელი გახდა 7 მილიარდ ლარამდე თანხის დამატებითი მობილიზება, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზეც აისახა.

ქვეყანაში შემოტანილი იქნა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აღიარებული ყველა ვაქცინა. კოვიდპანდემიასთან ბრძოლის და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვის ყველა მიმართულებით ფართო პროფესიული მუშაობა გაიშალა ჩვენს დასახლებებში, შემოტანილი გვქონდა ყველა საჭირო ვაქცინა, წეროვნის დევნილთა დასახლებაში ფუნქციონირებდა აცრის ორი პუნქტი, „ფაიზერით“ აცრის ცენტრი ხელმისაწვდომი იყო ყველა მსურველისათვის. გამოვიყენეთ ყველა არსებული საკომუნიკაციო მექანიზმი მოსახლეობის ინფორმირებისათვის. აქტიურად ვახორციელებდით ჩვენი მოსახლეობის ტრანსპორტირებას მათთვის სასურველ აცრის პუნქტებში.

კოვიდზე დაიტესტა 10 381 ადამიანი, კოვიდ-19 დაუდგინდა 2 184-ს, გაიხარჯა 2 753 ვაქცინა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის ყველა ორგანიზაცია-დაწესებულება მთელი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და ფუნქციონირებდა საქართველოს მთავრობის კოვიდპანდემიის მართვის საკოორდინაციო საბჭოსა და ახალგორის მუნიციპალიტეტის კოვიდპანდემიის მართვის სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებითა და მითითებებით. უზრუნველვყავით მათი მომარაგება სადეზინფექციო საშუალებებით და პირბადეებით.

ყველაზე მნიშვნელოვან სფეროდ და აქტუალურ საკითხად, ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიგვაჩნია ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და შესაბამისი დახმარების გაწევა. სამედიცინო დახმარების თხოვნით სხვადასხვა კვლევების და მკურნალობის შესახებ გამგეობაში შემოვიდა 519 განცხადება, საგარანტიო წერილი გაიცა 491 პირზე, საერთო თანხით 153 266 ლარი.

დემოგრაფიული ვითარების თვალსაზრისით, არსებობს რეალური სამწუხარო სტატისტიკა: 2021 წელს გარდაიცვალა 134, ხოლო დაიბადა მხოლოდ 95.

გასულ წელს საორგანიზაციო სამსახურში მოქალაქეთა მხრიდან, ადგილობრივი ორგანოებიდან, სასამართლოდან, მთავრობის ადმინისტრაციიდან და სხვ. შემოვიდა 1177 კორესპონდენცია, რომლებზედაც გაიცა საჭირო და ოპერატიული კორესპონდენციები.

მუნიციპალიტეტის გამგეობის სრულფასოვანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის როლი, მით უფრო, პანდემიის პირობებში დაწესებული რეგულაციების დაცვის რეჟიმში. შესყიდვები განხორციელდა 90 666 ლარის ფარგლებში, შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა, დეზობარიერები, სათათბირო ოთახისთვის 30 სკამი, შეიცვალა ჰიგიენის კაბინეტების ინვენტარი. გამოცხადდა სკვერში მისასვლელი გზის ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია „დეგი გრუპი“, მიმდინარეობს სამუშაოები.

პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ სფეროებზე, თუმცა მაინც გაიმართა რამდენიმე ლამაზი და კულტურული ღონისძიება. მათ შორის კონცერტები („ქართული ხმები“, „მარგარიტი“), ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი „მე შენ მიყვარხარ“, ვაჟა დურგლიშვილის საბავშვო

დასასრული მე-4 გვერდზე

დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 10 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქე დასაქმდა

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ათასობით სოციალურად დაუცველი მოქალაქე დასაქმდა. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის გზით. ამ პროცესში ხდება მოსარგებლის პროფილირება და მისთვის საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსიის ან შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიის შეთავაზება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში – დასაქმების ფორმალიზება. თუ შრომისუნარიანი პირი თანახმაა ერთ-ერთ შეთავაზებაზე, ოჯახს 4 წლის განმავლობაში უწყვეტად უნარჩუნდება საარსებო შემწეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება მოთხოვნილია უშუალოდ ოჯახის მიერ, ხოლო თუ შრომისუნარიანი პირი არ არის თანახმა შეთავაზებებზე, უარის თქმის თვიდან ერთი წლის შემდეგ განხორციელდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება.

პროგრამის განხორციელება დაიწყო 2022 წლის 1 მარტს და 2022 ივნისის მდგომარეობით, დასაქმებულია 10 272 სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირი.

საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართულობისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. ყველა თემის რწმუნებულები და საორგანიზაციო განყოფილება ცდილობენ, რათა მეტი ინფორმაცია იქნეს მიტანილი სოციალურად დაუცველთა და შშმ პირების ოჯახებში. მათ განემარტებათ, რომ მუშაობის დროს პროგრამა ითვალისწინებს სტატუსის და ფულადი დახმარების შენარჩუნებას 4 წლის მანძილზე. უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნუგზარ თინიკაშვილის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მე–3 გვერდიდან

ოპერა'„სათაგური". მორიგეობის რეჟიმით მუშაობდნენ სახელოვნებო წრეები, ბიბლიოთეკა.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში ჩვენმა ნორჩმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. გულსატკენია, რომ გარკვეულ ჩავარდნას ჰქონდა ადგილი ძიუდოსა და ქართული ჭიდაობის სფეროში, რისი ერთ-ერთი მიზეზი ჭიდაობის ტრადიციული არენის არარსებობაა, რაც აუცილებლად მოეწყობა უახლოეს პერიოდში.

სამუსიკო სკოლაში მოწესრიგდა ინტერიერი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის დირექცია და პედაგოგები, რის საშუალებასაც იძლეოდა პანდემიის პირობები, პროფესიულ დონეზე წარმართავდნენ ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საქმეს. ასევე, სრული დატვირთვით ვერ ფუნქციონირებდა ახალგაზრდული სახლი, მაგრამ მათ მაინც შეძლეს მრავალ საინტერესო პროექტში მონაწილეობა და წარმატების მიღწევა. ასევე შესაძლებელი გახდა პედაგოგების ონლაინ კომუნიკაციისათვის გადამზადება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ბავშვთა ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებასა და პროექტში.

პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირებაზეც. წლის განმავლობაში მხოლოდ 6 თვე იმუშავეს. 14-მა აღმზრდელმა გაიარა გადამზადების კურსები. მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციამ შეამოწმა სამივე საბავშვო ბაღი და არ გამოვლენილა არანაირი დარღვევა და არ გამოთქმულა არცერთი შენიშვნა. არასრულფასოვანი ფუნქციონირების გამო აუთვისებელი დარჩა დაგეგმილი თანხები. არსებული ეკონომიიდან შესაძლებელი გახდა და სამივე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს გადაეცათ საახალწლო ტკბილეულის პაკეტი, ასევე საკვები პროდუქტები სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვების ოჯახებს.

პანდემიის მიუხედავად, 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა ახალგორის სერვისცენტრი. ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული წეროვნის, წილკნისა და ფრეზეთის სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის და კოლექტორების მოვლა-პატრონობა, დასუფთავება, მით უფრო მაშინ, როდესაც საყოფაცხოვრებო ურნებში იყრება სამშენებლო ნარჩენები, ქვა-ღორღი, გასხლული ხეხილის ტოტები, ხშირია საკანალიზაციო და სასმელი წყლის სისტემის ავარიები. მიუხედავად ამისა, შესაბამისი სამსახურის მიერ ოპერატიულად ხდება აღდგენა და შეკეთება. ხშირ შემთხვევაში, გამგეობის მწირი რესურსით და მხოლოდ ადამიანური მორალური პასუხისმგებლობით და რესურსებით შეუძლებელი ხდება პრობლემის მოგვარება, GWP-ს სპეცტექნიკის დახმარებაა საჭირო, შუამდგომლობას ყოველთვის ყურადღებით და გულისხმიერებით ეკიდება გუბერნატორი დავით ნოზაძე.

ურთულესი პრობლემის წინაშეა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური. რელიგიურ ორგანიზაციაში „მოღვაწეობის" მიზეზით თავი აარიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს რელიგიური თავისუფლება „გირჩის" ცნობით, 34 წვევამდელმა.

2021 წელს სასამართლოებიდან მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია 12 საქმე. სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში მიმდინარეობს განხილვა, სადაც მესამე პირად ჩართულია გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი.

„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შესაბამისად იურიდიული სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალგორის მუნიციპალიტეტის აა-იპ-ებში დასაქმებული თანამშრომლების გადამოწმება აღნიშნული კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესით დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის 463-ე დადგენილების შესრულების მონიტორინგი.

მომზადდა და გაიგზავნა წერილები ააიპ-ებში „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-15/6 ბრძანებიდან გამომდინარე, განემარტათ როგორც საშტატო პოზიციებზე, ისე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებზე ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად შესრულების აუცილებლობა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აღწერა, რომლითაც დადგინდა, რომ წეროვანის დევნილთა დასახლებაში მდებარეობს და ფუნქციონირებს 19 საჯარო იურიდიული სამსახური და 80 სხვადასხვა პროფილის კომერციული და მომსახურების სფეროს ობიექტი. აღნიშნული სამსახური მონიტორინგს და ზედამხედველობას უწევს მიმდინარე პროექტებს და სხვადასხვა ობიექტების საკითხებს.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა ჩაატარა კონკურსი ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად, ასევე ჩატარდა საჯარო მოხელეთა შეფასება. შიდა აუდიტის სამსახურმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბიუჯეტო ორგანიზაციების, სამსახურების, დაწესებულებებისა და ააიპ-ების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ფუნქციონირების, გამართული და ეფექტიანი საქმიანობის წარმართვის მონიტორინგის, დარღვევების, ან გადაცდომების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 4 ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი – ბოლის ტერიტორიულ ორგანოში, „სერვის ცენტრში", სასპორტო კომპლექსურ სკოლაში, ახალგაზრდულ სახლში. გარკვეული დარღვევების გამოსწორებისა და აღმოფხვრისათვის მიეცათ სათანადო რეკომენდაციები.

ახალგორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენდა 2 660 ათას ლარს, მათ შორის სპეციალური ტრანსფერი - 2 570 ათასი ლარი, დელეგირებული მიზნობრივი ტრანსფერი 90 ათასი ლარი. ახალგორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ნაშთმა 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 265,0 ათასი ლარი, რაც შემდგომში აისახა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 292,0 ათას ლარს. მათ შორის ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 302, 2 ათასი ლარი, ხოლო ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2021 წლის ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 817, 3 ათასი ლარი.

ახალგორის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 2021 წლის ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 50.1 ათასი ლარი.

წეროვნის, წილკნის, ფრეზეთის დასახლებებში 2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება ადგილობრივი წყლის სისტემის მოვლა-პატრონობის პროგრამა, რაზეც დაგეგმილი იყო 32.4 ათასი ლარი (ხარჯი მოიცავდა 30.2 ლარს).

ახალგორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წეროვნის დევნილთა დასახლების შიდა გზების დაგვა-დასუფთავება, ფრეზეთის დევნილთა დასახლებიდან ნაგვის გატანა, ასევე წეროვნის, ფრეზეთის, წილკნის დასახლებების ზამთრის ნარჩენებისაგან გაწმენდა. ამ ქვეპროგრამის დასაფინანსებლად 2021 წელს ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 151.4 ათასი ლარი. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია წეროვნის დევნილთა დასახლებაში საკანალიზაციო გამწმენდი კოლექტორის მოვლა-პატრონობა, ამასთან ერთად საოჯახო საკანალიზაციო სისტემების ამოწმენდა. 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 70,3 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 59.5 ათასი ლარი).

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წეროვნის დევნილთა დასახლებაში სკვერის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, რისთვისაც ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 71.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 62. 2 ათასი ლარი).

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მთლიანად აფინანსებს სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებას, სადაც ირიცხება 371 ბავშვი. თანამშრომელთა ხელფასების, აღსაზრდელთა კვების, სხვადასხვა ხარჯების დაფინანსება შეადგენდა 667.6 ათას ლარს (საკასო ხარჯი – 636.4 ათას ლარს).

ახალგაზრდული სახლის დაფინანსება შეადგენდა 111.5 ათას ლარს (საკასო ხარჯი 109.4 ათას ლარს).

სასპორტო სკოლის 2021 წლის ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 84.9ათას ლარს (საკასო ხარჯი – 80.1 ლარს). სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში 2021 წელს დაგეგმილი იყო 4.5 ათასი ლარი, მაგრამ სამწუხაროდ პანდემიის პირობებში ვერ განხორციელდა ღონისძიებები და ეს თანხა აუთვისებელი დარჩა.

საფეხბურთო სკოლის ბიუჯეტი – 42.5 ათასი ლარი, აქედან 5.5 ათასი ლარი არის გრანტი, რომელიც გამოყოფილი იქნა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან'(საკასო ხარჯი – 39. 5 ათასი ლარი).

სამუსიკო სკოლა - 72.8 ათასი ლარი (საკასო ხარჯი 70.4 ათასი ლარი).

ბიბლიოთეკების ხელშეწყობის დაფინანსებამ შეადგინა 66. 3 ათასი ლარ, აქედან 2,2 ათასი ლარი მოიცავს საკუთარ შემოსავალს იჯარით გაცემული ფართის საფასურს (საკასო ხარჯი - 63. 8 ათასი ლარი).

ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშოები ფინანსდება ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის გავლით, რაზეც 2021 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 20.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი იგივე).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება 115.5 ათასი ლარი, აქედან მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სუბსიდია მოიცავს 69. 4 ათას ლარს (საკასო ხარჯი 112.0 ათასი ლარი). სამსახური დაფინანსდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ კოვიდ პანდემიის პროგრამის ფარგლებში. წლიური ასიგნება მოიცავს 46.1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ახალგორიდან დევნილი მოსახლეობის დახმარება, რომელთა კონკრეტული გამოკვლევის, მკურნალობის ქირურგიული ოპერაციები სრულად არ არის გათვალისწინებული საყოველთაო დაზღვევით. 2021 წელს დაგეგმილი იყო 129 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენდა 127.3 ათას ლარს.

დევნილთა გარდაცვალების შემთხვევაში თითოეული ოჯახი იღებდა 400 ლარიან დახმარებას, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 54.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 53.9 ათასი ლარი), ხოლო ბავშვის დაბადებისას ოჯახი იღებდა ერთდროულ დახმარებას – 300 ლარს, მრავალშვილიანი ოჯახები 500 ლარს. ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 46.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი 33. 4 ათასი ლარი). ამავე პროგრამიდან 2 ათასი ლარი გაცემულია სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებზე, ხოლო უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სააღდგომო სასაჩუქრე პაკეტებზე 2 200 ლარი. ასევე 900 ლარი დიალიზზე მყოფ ავადმყოფთა ტრანსპორტირების ხარჯები.

მასალა მომზადდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნუგზარ თინიკაშვილის ანგარიშის მიხედვით 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

გაზეთის მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის პროგნოზები მიმდინარე წლის გეგმების და განსახორციელებელი პროექტების შესახებ, რომელთა ნაწილი დაწყებულიც არის. როგორც ნუგზარ თინიკაშვილმა გვითხრა, საანგარიშო პერიოდში პანდემიისგან გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ფონზე მუნიციპალიტეტის გამგეობის სწორი, გონივრული და ქმედითი საქმიანობის შედეგად მოხერხდა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, რაც შეუძლებელი იქნებოდა მცხეთის მერიის, მცხეთა-მთიანეთის გუბერნიის, დევნილთა სააგენტოს და მთლიანობაში, საქართველოს მთავრობის თანადგომის გარეშე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლის დასასრულს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და თანადგომით შესაძლებელი გახდა ახალგორის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა ხელფასების ზრდა დაანონსებულ 10 პროცენტზე გაცილებით მეტით და შევძელით მე-3 კატეგორიის მუნიციპალიტეტების დონეს თითქმის გავთანაბრებოდით. ასევე, შევძელით საჯარო მოსამსახურეთა დანამატების გაცემა ხელფასის 70 %-ის ოდენობით (ცნობისათვის: 2014 წლიდან დღემდე ბიუჯეტი გაიზარდა 1 მლნ ლარით).

დასასრული მე–6 გვერდზე

„პირველი ნაბიჯი“ გთავაზობთ თერაპიულ მომსახურებას „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში

არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი“ , მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, 0-7 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბენეფიციარებს სთავაზობს „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში თერაპიულ მომსახურებას.

აღნიშნული პროგრამა შექმნილია განვითარების შეფერხების ან ამ მხრივ რისკის მქონე დაბადებიდან 7 წლამდე ბავშვებისთვის და მათი ოჯახებისთვის.

ხელს უწყობს: ყოველმხრივ განვითარებას - მოტორულ, სოციალურ-ემოციურ, კომუნიკაციურ, შემეცნებით და თვითმოვლის უნარების კომპლექსურ განვითარებას, ბაღისა და სკოლისთვის მზაობის შექმნას, ემოციურ მდგრადობას და სოციალიზაციას, მშობლების და სხვა ოჯახის წევრების მხარდაჭერას ბავშვის პოზიტიური აღზრდის მიმართულებით

„პირველი ნაბიჯი“ უკვე 23 წელზე მეტია ფუნქციონირებს. აქ 10-ზე მეტი პროგრამა ხორციელდება და 900-ზე მეტ ბავშვს ემსახურება ყოველთვიურად. კონსულტაციის და თერაპიის ცენტრი ემსახურება ადრეული ასაკის ბავშვებს და მათ მშობლებს. ხოლო დღის ცენტრის და ბინაზე მოვლის პროგრამები 53 მძიმე ინტელექტუალური და ქცევითი დარღვევების მქონე 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს.

პროგრამაზე რეგისტრაციისთვის მიმართეთ ორგანიზაციის ადმინისტრაციას: ტელ: (+995) 579 62 83 3

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნუგზარ თინიკაშვილის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მე–5 გვერდიდან

უნდა აღინიშნოს, რომ გავიმარჯვეთ იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამაში და წარდგენილი არგუმენტირებული ბიზნესგეგმის საფუძველზე მივიღეთ მიზნობრივი გრანტი 66510 აშშ დოლარი – მრავალფუნქციური ტრაქტორის შესაძენად.

2022 წელს დასრულდება 1-დან მე-14 რიგამდე ქუჩების მოასფალტება, რაზეც იხარჯება 1,5 მლნ ლარამდე. პანდემიით გამოწვეული ფინანსური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე ამ პროექტის განხორციელება არის დიდი მიღწევა, რისთვისაც ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობას ძალ-ღონე არ დაუშურებია. თანადგომისთვის მადლობას იმსახურებს მცხეთის მერია და გუბერნატორი ბატონი დავით ნოზაძე. ასევე, დაპროექტდება და ნაწილობრივ მოასფალტდება წეროვნის დასახლების შუა ნაწილის ქუჩები.

გამგეობისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდა პრობლემა საკანალიზაციო სისტემის გადასაქაჩ სადგურზე, მოეწყო სალექარი და დამონტაჟდა 2 ახალი ძრავი. პროგრამის განხორციელება საჭიროებდა 100 ათას ლარს. რეაბილიტაციის შემდეგ, მოსახლეობის არაჯეროვანი, ხშირად მავნებლური და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, ერთი ძრავი კვლავ დაზიანდა.

შარშან წეროვანში სტუმრად იყო საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ტყემალაძე, აღმასრულებელი დირექტორი გაიოზ მონიავა, ასევე გიორგი კობახიძე, სახელოვანი რაგბისტი საქართველოს პარლამენტის წევრი დავით კაჭარავა. გადაწყდა, რომ უახლოეს ხანში მოეწყობა რაგბის მოედანი თავისი ინფრასტრუქტურითა და ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნებით. საპროექტო სამუშაოების ძირითადი ნაწილი გაკეთებულია, მიმდინარეობს ხარჯთაღრიცხვაზე მუშაობა. ეს იქნება ძალზე მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ახალგაზრდობის სპორტული აღზრდის საქმეში.

ჩვენი აქტიური თანამშრომლობით აშშ-ის საელჩოსა და მცხეთა-მთიანეთის სოციალური განვითარების სააგენტოსთან ფრეზეთში დამონტაჟდა 100 ტონა ტევადობის ავზებით აღჭურვილი ჭაბურღილი, რომლის საპროექტო ღირებულება 400 000 აშშ დოლარია. ჭაბურღილი აღჭურვილია დიზელის გენერატორით და და დენის გათიშვის შემთხვევაში დასახლებას წყალი მაინც ექნება. თუმცა, მოსახლეობის მხრიდან წყლის უყაირათო მოხმარების გამო მაინც იქმნება ხოლმე პრობლემები პერიოდულად.

ასევე მნიშვნელოვანია სრულიად განახლებული მართვის მოწყობილობებისა და საქლორატოროს დანადგარების დამონტაჟება, რაც ხარისხიანი წყლის გარანტიაა. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა ''გზი ენერგოს'' კომპანიასთან და ლიეტუვის წარმომადგენლებთან ფრეზეთში ახლად დამონტაჟებული ჭაბურღილისთვის შესაბამისი მზის ბატარეების გადმოცემის საკითხზე მოლაპარაკება, რადგანაც ყოველთვიური ელექტროენერგიის ხარჯი 2000 ლარის ფარგლებშია, რაც მძიმე ტვირთად დააწვება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

მიმაჩნია, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ქანდის სასაფლაოს შემოღობვა, თუ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოიყო თანხა, აუცილებლად შესრულდება ეს სამუშაოებიც.

ჩვენი მუნიციპალიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან. სხვადასხვა საგრანტო პროგრამაში ჩართულია ჩვენი მოსახლეობა და ისარგებლა რამდენიმე ათეულმა ოჯახმა.

როგორც ცნობილია მომზადებულია პოლიკლინიკისა და სამედიცინო დახმარების ოფისების პროექტები, რომელთა მშენებლობა ვერ მოხერხდა პანდემიიდან გამოწვეული ფინანსური პრობლემების გამო. მიმდინარეობს აქტიური განხილვა მცხეთის მერიის, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის, და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს ამ პროექტების კორექტირება ფასების ცვლილებების გამო და თანხის გამოძებნა მშენებლობისათვის.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობის, ახლის ძიებისა და დამკვიდრების საქმეში კვლავაც მთავარი და უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მაქსიმალური ზრუნვა ადამიანებზე და ყოველდღიური სოციალური და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების ოპერატიული, სწორი გადაჭრა.

გამოვიდა „ქსნის ხეობის ისტორიის“ მე–3 ნაწილი

პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ახლოურმა გამოსცა „ქსნის ხეობის ისტორიის“ მესამე ნაწილი, რომელშიც იბეჭდება ინფორმაცია სოფლების: ჭორჭოხის, ახალდაბის (ბალაანი), შატაკიანთკარის (დოჩიანი), პავლიანთკარის, თინიკაანის, კარელთკარის, კვერიათის (წიპტაურები), მიდელაანის, ხოზოეთის, ქენქაანის, გოლგოლეთის, ლომისას, ოხირის, ძაბუეთის, კუცხოეთის, ველისას, საბარკლეთის, ჩარაანის, კარას, ციხეს, ჯორთისის, ჩხუნეთის, ჯანგათკარის შესახებ, რომელთაგანაც უმეტესობა დღეს უკვე ნასოფლარია...



წარწერა ფოტოზე: ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს ორბელ... ამ ქვებზე და ჭადრებზე

ნიკოლოზ ბარათაშვილი ახალგორში

ნიკოლოზ ბარათაშვილს და - ეკატერინე (კატო) მელიტონის ასული ცოლად ჰყავდა ქსნის ერისთავთა შთამომავალს რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავს, რომელიც ახალგორში ცხოვრობდა.

კატოს და რევაზის ქორწილი 1844 წლის 29 ივნისს გაიმართა თბილისში. დედაქალაქიდან მეორე დღეს გამოემგზავრნენ. მექორწილეებს, ცხადია, დედოფლის ძმაც ახლდათ. გზად, მუხრანში სიძის ძმის ლევანის სიმამრს ქაიხოსრო მუხრანბატონს მიუპატიჟია. ყოველივე ამის შესახებ ტატო თვითონ წერს ზაქარია ორბელიანს: „რა დაბინდდა - შევედით ახალგორს. სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანი მაშხალებით. ამ დროს ახალი არქიელი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები მისნი იყვნენ, დეკანოზი შემოსილი ჯვარით მოგვეგება გალავნის კარებში, დაჰკრეს ზურნას სათარას სიმღერა, თანა გვყვანდა... თოფის სროლა და ხალხის ჭედვა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა; ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდგომარეობა!..

რასაკვირველია, მეორე დღეს პატარძლის ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშაგებში იწვა, მესამე დღეს ადგა. მზითვი გაშინჯეს...” მეოთხე დღეს პატარძლისთვის ნიშნები მოურთმევიათ დედამთილს, მაზლებს, მულებს და რძალს. არქიელს დაულოცია და ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი უჩუქებია, „არქიელი ეზოში იდგა კარავში ჭადრების ქვეშო”... ამ ჭადრების ფოტოსაც უგზავნის ტატო ორბელიანს... სტუმარ-მასპინძელს ახალგორში ხუთი დღე უქეიფიათ და ახალგორიდან ნათლობაში წასულან კარალეთში, იქიდან ატენში „დიდი კნიაზის” გიორგი ერისთავის მამულში: „სულ შუშურები გვასვა, ერთის ლექსით კარგად გავატარეთ დროება მრთელი ორი კვირაო”- წერდა ერისთავთა მასპინძლობით აღფრთოვანებული პოეტი... ბარათაშვილი მოხიბლულია სიძის და მისი ძმების უმაგალითო თანხმობით, ეკატერინესთან დამოკიდებულებით - რევაზი ზედ აკვდება კატოსო, ასევე სასახლის სიმდიდრით და უვალობით.

ბარათაშვილი სურვილს გამოთქვამს შემოდგომით ახლობლებთან ერთად კიდევ ეწვიოს ახალგორს, „თუ ღმერთი გვაღირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთო - წერდა პოეტი ზაქარიას...

1844 წლის 15 აგვისტოს ტატო მამასთან ერთად დას ესტუმრა და ალევის მთაზე სამების დღესასწაული ქსნის ხეობელებთან ერთად აღნიშნა: „მე და მამა ალევობას, რომ ამ თვის თხუთმეტს იყო, ვეწვივენით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. ის ღამეც და მეორე დღეც იყო მშვენიერი. საუცხოო ჯვარობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსტია მაღალს მთაზედ... ის ღამეც და მეორე დღეც იყო მშვენიერი...”

სამწუხაროდ, შემოდგომით ვეღარ მოუხერხდა პოეტს დასთან სტუმრობა... 1845 წლის ივნისში განჯაში გაემგზავრა და ოქტომბერში მალარიით გარდაიცვალა...

რევაზს და ეკატერინეს ოთხი შვილი ჰყავდათ: ელენე, ნადეჟდა, ეფემია და ნიკოლოზი. ნიკოლოზ ერისთავი დიდი კაცი იყო, ილიას ახლო მეგობარი, მისი თანხით გამოიცა ბარათაშვილის ლექსების პირველი კრებული, მანვე გადასცა ილიას 1875 წელს ტატოს ერთადერთი პორტრეტი, რომელიც ახალგორში ეკატერინესთან ინახებოდა... სამწუხაროდ, ეს პორტრეტი მოგვიანებით დაიკარგა...

დავით ახლოური

...ევროკავშირის კანდიდატობის გზაზე საქართველოს დასაწინაურებლად“

„საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მჭიდროდ ვიმუშავებთ ევროკავშირის კანდიდატობის გზაზე საქართველოს დასაწინაურებლად“, – ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ამ სიტყვების სჯერა საქართველოს მოქალაქეების უდიდეს უმრავლესობას.

ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის სხვადასხვა მოთხოვნა და ეროვნული გამოცდების დღეებში მოწყობილი მიტინგები და აქციები სამართლიანობას მოკლებული რომ იყო და თავიდანვე განწირული უშედეგობისაკენ, კარგად გამოჩნდა ხალხის სიმცირის და მალე დაშლის, მოთხოვნების ალოგიკურობის გამო და დაკვირვებული თვალი იმასაც ამჩნევდა, რომ ეს ყოველივე მიმართული იყო ისევ და მხოლოდ ხელისუფლების და სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილის „დამთავრებისაკენ“, „ტექნიკური მთავრობის“ შექმნისაკენ, როგორც ამას ახმიანებდნენ მიტინგის მონაწილეები...

„სახალხო მთავრობის“ მოთხოვნაც სრულიად ალოგიკური იყო და ვერც ევროინტეგრაციაში დაგვეხმარება. ამ მიტინგზე გამოიკვეთა, რომ ეს არც არავის აინტერესებს და მხოლოდ საბაბია, რაც ხშირად ემართება ოპოზიციას, რათა ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს, რა თქმა უნდა,„ხალხის სახელითა და მოთხოვნით“...

ვისაც საქართველოში, ასე ვთქვათ, „დებიძინიზაცია“ მოუსურვებია, გაიხედონ სამების ტაძრისკენ, რომელიც რომ იტყვიან უჩუმრად ააშენა სწორედ ბიძინამ, კარგად დააკვირდნენ დღევანდელ ჯარსა და პოლიციას, რომლის ფერფლიდან აღდგენა, ჩაცმა-დახურვა, თანამედროვე საჭირო აღჭურვილობა 2004 წლიდან ბიძინა ივანიშვილის ფულით მოხდა... ათასობით პატარას და მოზარდ თაობას დაუნგრიონ ბიძინას აშენებული და დამშვენებული ბაღები და სკოლები, 500-მდე რესტავრირებული ეკლესია-მონასტრები (აკი ახლო წარსულში ეკლესიასაც ანგრევდა ყველასთვის ცნობილი მაშინდელი პატრიოტი), მარჯანიშვილის, რუსთაველის, ოპერისა და ბალეტის თეატრები, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, აღარ უნდა შეუშვა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ახალგაზრდა თაობა, რადგან ყველა კორპუსს მისი ქველმოქმედების კვალი ატყვია, მუზეუმებიდან უნდა გამოიტანონ საზღვარგარეთ გამართულ აუქციონებზე შეძენილი და მუზეუმებისთვის ნაჩუქარი ფერწერული შედევრები...

რაგბის სტადიონი, საკონცერტო შენობები, დენდროლოგიური პარკი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ქართველი ხალხი ბრძენია და მშვენივრად ხვდება, რომ „შინ ევროპისაკენ“ ლოზუნგის ქვეშ გამართულ მიტინგებს საქართველოს ევროინტეგრაციასთან საერთო არაფერი აქვს და მხოლოდ ერთადერთ მიზანს – ქვეყნის სათავეში კვლავ ნაციონალური მოძრაობის მოსვლას ემსახურება, რაც 3 ივლისს რუსთაველის გამზირზე გამართულმა მცირერიცხოვანმა აქციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა....

ახლახან ათონის მთის ვათოპედიის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ეფრემ ვათოპედელმა ქართველ ხალხს წერილი გამოუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ათონის მთა გულში დარჩა. ის აცნობიერებს, რომ არის მართლმადიდებელი ქვეყნის მმართველი, დიდ პატივს სცემს თავისი ქვეყნის ტრადიციებს და არამარტო სულიერ ტრადიციებს მიაგებს პატივს, არამედ უნდა, როგორც წმინდა სამების სახელით მონათლული ქრისტიანი, ამ ტრადიციას ცხოვრებისეულადაც განიცდიდეს. ბატონ პრემიერს ჩვენი საუკეთესო სურვილები გადაეცით...

ჩვენს ბრძენ ხალხს ისიც ახსოვს, რომ სულ ახლახან ბეწვის ხიდზე გაატარა საქართველო ირაკლი ღარიბაშვილმა, როცა ყველაზე სასტიკი ომის საფრთხე გვემუქრებოდა.

მოძმე უკრაინელ ხალხს ღირსეულადაც დაეხმარა ქართველი ერი და ყურად არ იყო არახამიების, არესტოვიჩების, ხოშტარიების, დეკანოიძების და სხვათა „ღაღადისი“...

დღესაც სწორ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გზას რომ ადგას ჩვენი ქვეყანა, ახლახან გამართული ეკონომიკური საბჭოს სხდომის მასალებიც ცხადყოფს, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა...

შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას. ხაზი გაესვა, რომ ორნიშნა ეკონომიკური ზრდის დინამიკა კვლავ გრძელდება, კერძოდ, 2022 წლის მაისში ეკონომიკურმა ზრდამ 11.6% შეადგინა, ხოლო იანვარი-მაისის საშუალო ეკონომიკური ზრდა 11.2%-ით განისაზღვრა.

ასევე, განიხილეს ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები, მათ შორის, ადგილობრივი ექსპორტის მიმართულებით დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენციები და ტურიზმის აღდგენის დინამიკის გაძლიერება. აღინიშნა, რომ 2022 წლის მაისში ექსპორტი გაიზარდა 54.3 %-ით, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი - 63.3 %-ით. ტურიზმზე საუბრისას კი ხაზი გაესვა, რომ იანვარ-მაისში მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების აღდგენის დონე 75.3%-ია და შემოსავლებმა 840.9 მლნ აშშ. დოლარი შეადგინა.

ტურიზმის აღდგენის დინამიკაზე საუბრისას აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში 445,894 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა და ზრდა 2021 წლის ივნისის თვესთან შედარებით 185.5%-ია. ასევე, 2022 წლის 6 თვეში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 1,209,272 შეადგინა, რაც 186.3%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ასევე განიხილეს დადებითი ტენდენციები, რაც ბიუჯეტის შესრულების მიმართულებით 2022 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა. ხაზი გაესვა, რომ გადაჭარბებით შესრულდა, როგორც შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი, ასევე, საგადასახადო შემოსავლებიც. ისევე, როგორც ნაერთი ბიუჯეტი, გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებიც, რომლის მოცულობამ 9,1 მლრდ ლარი შეადგინა. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელმა მხოლოდ 0,3% შეადგინა, რაც აჩვენებს, რომ გრძელდება დაგეგმილი ფისკალური კონსოლიდაცია და წლის ბოლომდე შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვნად შემცირდეს მისი წლიური მაჩვენებელიც და ნაცვლად თავდაპირველად პროგნოზირებული 4,4%-სა, მისი მაჩვენებელი 3,5 %-ზე დაბალ ნიშნულამდე შემცირდეს.

ზაზა გათენაშვილის ნამუშევრები შვეიცარიაში, ბაზელში გამოიფინა

ახალგორელ ზაზა გათენაშვილს ჩვენი მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მას ყველა იცნობს, როგორც მარჯვენა დალოცვილ დიდოსტატს ქართული ჩუქურთმებისა...

ზაზას მამამ – გოგი გათენაშვილმა შეაყვარა და შეასწავლა ხეზე კვეთა და მისი იდუმალი, საოცარი მშვენიერება... თავადაც მთელი ცხოვრება ამ საქმეს მიუძღვნა და წლების მანძილზე ახალგორის საბავშვო სახლში ასწავლიდა ბავშვებს ხეზე კვეთის საიდუმლოს...

მამა-შვილის ნამუშევრებს და ნახელავს არაერთხელ აღუფრთოვანებია დამთვალიერებელი... წეროვნის დევნილთა დასახლების სტუმრების გულთბილი მასპინძელია ზაზა თავის ენით უთქმელ, მუზეუმად ქცეულ მშვენიერების სამყაროში...

თითოეული ახალგორელისათვის საამაყოა, რომ ახლახან შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც უცხოელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა...

წინ უამრავი გამარჯვება ელის ხელოვანს, წარმატებით იაროს...

ფრაგმენტები ქსნის ხეობის ისტორიიდან

ახალგორელი `ბაირალის ბიჭები~

ამ ფოტოზე აღბეჭდილი არიან ახალგორელი ,,ბაირაღის ბიჭები". ფოტო ინახება ჩემს საოჯახო ალბომში. მიუხედავად იმისა, რომ მასზე ვერავინ ამოიცნო თავისი წინაპარი, ფოტო მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი ისტორიული წყაროა. სწორედ ამ ფოტოზე წერდა თავის საგაზეთო წერილში – ,,ბაირაღის ბიჭები", აწ გარდაცვლილი ისტორიკოსი ვალერიან ხოცუაშვილი.

დასასრული მე–11 გვერდზე

კონკურსი ახალგაზრდებისთვის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მშვიდობის ჯილდოს მოსაპოვებლად

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აცხადებს კონკურსს „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ მოსაპოვებლად

ყოველწლიური ჯილდოს სახელწოდებით - „სახელმწიფო მინისტრის აპარატის მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ დაწესების ინიციატივით სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2021 წლის 21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოვიდა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს საქართველოში სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერებას, რაც სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ჯილდო გადაეცემა ახალგაზრდას ან ახალგაზრდების ჯგუფს, რომლებსაც საქართველოს მთავრობის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, საკუთარი საქმიანობითა და აქტივობით განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მშვიდობის მშენებლობის და ომით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის, ასევე კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვის პროცესში.

კონკურსის შედეგად გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული ახალგაზრდა პირი, ახალგაზრდების ჯგუფი ან ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელსაც გადაეცემა სიგელი და ფულადი ჯილდო 3000 ლარის ოდენობით.

გამარჯვებული კანდიდატ(ებ)ის გამოცხადება და დაჯილდოება მოხდება მშვიდობის საერთაშორისო დღეს, 2022 წლის 21 სექტემბერს.

კონკურსში შესაძლებელია 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდა პირის, ახალგაზრდების ჯგუფის ან ახალგაზრდული ორგანიზაციის ნომინირება. ნომინაციაზე კანდიდატების წარდგენა შეუძლია სახელმწიფო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ექსპერტებს ან ექსპერტთა ჯგუფს, არანაკლებ სამი ადამიანისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს.

ნომინაციაზე წარდგენილი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

კანდიდატი თავისი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდეს საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის შერიგებასა და ნდობის აღდგენას, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მხარდაჭერას;

კანდიდატის საქმიანობა უნდა ასახავდეს საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელებულ კონკრეტულ აქტივობას, რაშიც გამოიხატება მისი წვლილი სამშვიდობო პროცესში;

კანდიდატის მიერ სამშვიდობო პროცესში შეტანილი წვლილი შეიძლება ვლინდებოდეს საქმიანობის ნებისმიერი ფორმით, მაგ.,

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების/მშვიდობის მშენებლობის საკითხზე განხორციელებული აკადემიური საქმიანობა (კვლევები, ანგარიშები, ნაშრომები);

ქართულ-აფხაზურ/ქართულ-ოსურ ნდობის აღდგენის ინიციატივების დაგეგმვა, განხორციელება ან/და მონაწილეობა;

კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვის პროცესში განხორციელებული აქტივობები ან/და გამოჩენილი ინიციატივები;

მშვიდობის მშენებლობის მიზნით სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა და სხვ.

განაცხადები უნდა მიეწოდოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2022 წლის 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, ქართულ ენაზე, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@smr.gov.ge.

განაცხადში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული:

ინფორმაცია კანდიდატის წარმდგენი პირის/პირების თაობაზე, საკონტაქტო მონაცემების ჩათვლით;

კანდიდატის სახელი და გვარი, მოკლე ბიოგრაფია (განათლება, საქმიანობის სფერო);

მშვიდობის მშენებლობის პროცესში კანდიდატის მიერ შეტანილი წვლილის მოკლე აღწერა (არა უმეტეს 500 სიტყვისა); ნაშრომებისა და სხვა დამხმარე მასალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოწოდება შესაძლებელია დანართის სახით.

წარდგენილი კანდიდატი/კანდიდატთა ჯგუფი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული კონკურსში ნომინირების შესახებ და უნდა იყოს თანახმა მისი კანდიდატურის განხილვაზე.

გამარჯვებული კანდიდატ(ებ)ის შერჩევა მოხდება „მშვიდობის ჯილდოს ახალგაზრდებისთვის“ გადაცემის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ.

კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში საკონტაქტო პირი - სოფიო ლეთოდიანი (598 60 50 20).

მშვიდობით, ჩვენო მეგობარო...

ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგორის მუნიციპალიტეტის ლარგვისის ტერიტორიული ორგანოს უმცროსი სპეციალისტი მაყვალა მელთაური. მაყვალას გარდაცვალებამ ძალიან დაგვამწუხრა თანამშრომლები და მეგობრები. სიკეთით სავსე, სამსახურისადმი ერთგულებით და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული, მოყვასის მოყვარე და მისთვის გულწრფელად გვერდით მდგომი,ჩუმი, წყნარი და უპრეტენზიო – ასეთი იყო და ასეთად დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ცრემლი ერეოდა მშობლიური ქსნის ხეობის გახსენებისას, ენატრებოდა მისი ნახვა...

მშვიდად განისვენე ჩვენო ძვირფასო მეგობარო იმ ქვეყნის მარადიულ განსასვენებელში, ახალგორის მუნიციპალიტეტში შენს სამუშაო მაგიდაზე შენს უკვდავსაყოფად ყვავილები იწონებენ თავს და სანთელი იწვის... ჩვენს თვალზე კი ცრემლი არ შრება...

ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა...

მეგობრები

ახალგორელი ბაირაღის ბიჭები

მე–9 გვერდიდან

(გაზ. ,,ახალგორი",1991წ.12თებერვალი, წერილი 42) გთავაზობთ ამ წერილიდან ამონარიდს.

„,მაინც რას წარმოადგენდა ორგანიზაცია ,,ბაირაღის ბიჭები?"

ეს იყო, ძირითადად, ქსნისხეველი მარჯვე ახალგაზრდებით დაკომპლექტებული რაზმი, რომელსაც ხეობის ღირსება უნდა დაეცვა სამებაში. აქ იყვნენ გამოჩენილი მოჭიდავენი, მოჯირითენი, ზუსტი მსროლელები, მოცეკვავენი. მათი საერთო ვალი იყო დროშის, როგორც ხეობის სიმბოლოსი და ღირსების დაცვა. რაზმი ახალგორის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში იკრიბებოდა.ყველა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, იარაღასხმული, აუცილებლად ცხენზე ამხედრებული. დროშა ინახებოდა ახალგორის ღვთისმშობლის ეკლესიაში და გამოჰქონდათ მხოლოდ სამებაში გამგზავრების დროს.

შემორჩენილია ერთი დაუთარიღებელი სურათი, სადაც აღბეჭდილია ,,ბაირაღის ბიჭები" სამებაში გასვლის მომენტში. დროშის სიმაღლე დაახლოებით ოთხი მეტრია, თვითონ ტილო, რომელსაც მაღალი მხატვრული გაფორმების კვალი ატყვია, დროშის ტარზეა ჩამოშვებული, მოხატულობა სრულად ვერ იკითხება, სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ დროშაზე ერთ მხარეს გამოსახული იყო თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გმირავს ურჩხულს, მეორე მხარეს კი – ღვთისმშობელი. სურათიდან იმზირება ოცდაოთხი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შეიარაღებული რაზმელი (,,ბაირაღის ბიჭი"), ნაწილი მათგანი უკვე ცხენზე ამხედრებულა, აქვეა ბაირაღტარი, რომელსაც გვერდში ამოსდგომიან ხმალგაშიშვლებული მხედრები".

ნინო დოლიშვილი
წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის
ისტორიის მასწავლებელი

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ლარგვისის ტერიტორიული ორგანოს უმცროსი სპეციალისტის

მაყვალა მელთაურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები მწუხარებით იუწყებიან ახალგორელი

შალო /შალვა / ამირანაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ძმებს, მშობლებს.

შპს ზედაზენის თანამშრომლები მწუხარებით უსამძიმრებენ დალი და ეკა გვრიტიშვილებს ძმის

მალხაზის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები სამძიმარს უცხადებენ დალი გვრიტიშვილს ძმის

მალხაზ გვრიტიშვილის

გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვანო მემარნიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ახალგორის ყოფილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების 03-ის თანამშრომლები იუწყებიან

ვანო მემარნიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

წეროვნის დევნილთა დასახლების მეზობლები, მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნოდარ /ნოდო/ გვრიტიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მიეძღვნა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლისთავს

წეროვნის დევნილთა დასახლებაში, აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად და გაიმართა ღონისძიება, სადაც წარმოდგენილი იყო: საგამოფენო/საინფორმაციო სივრცეები, კოსტიუმირებული ფესტივალი, წიგნის კითხვის სივრცე, სახის მოხატვა, საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა – საბასთვის.

ღონისძიება განხორციელდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის პროგრამის "U.S Embassy Bookmobile" ფარგლებში, ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

ღონისძიებას ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრმა.

ახალგორის სპორტული სკოლის ფეხბურთელები „ოთხთა ტურნირის" გამარჯვებულები არიან

29 მაისს სოფელ ნატახტარში ჩატარდა „ოთხთა ტურნირი" ფეხბურთში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის თასზე.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ კოდისა და ქარელის რ-ის ახალსოფლის გუნდები. ანგარიშით 6:1 გაიმარჯვეს კოდელმა ფეხბურთელებმა და დაიკავეს მესამე ადგილი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წეროვნისა და ნატახტრის გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა წეროვნის გუნდმა და დაეუფლა თასს.

ჩემპიონი გუნდი დააჯილდოვა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა ომარ ხუბაევმა.

წეროვნის დევნილთა დასახლების სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა გუნდს გია მიდელაშვილი ხელმძღვანელობს.